

სკოპინგის დასკვნა N73

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 412 935 მ² ფართობზე სასარგებლო წიაღისეულის (825 870 მ³ ქვიშა-ხრეშის) ღია კარიერული წესით მოპოვება;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ნიუ ჯეომატერიალსი“ (ს/კ 405677557);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: მარნეულის მუნიციპალიტეტი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 11.11.2024;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრი“.

ძირითადი საპროექტო მონაცემები

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „ნიუ ჯეომატერიალსის“ მიერ, წარმოდგენილია მარნეულის მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის (825 870 მ³ ქვიშა-ხრეშის) ღია კარიერული წესით მოპოვების სკოპინგის ანგარიში.

მარნეულის მუნიციპალიტეტში (ჯამურად 505 405 მ²), სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 30 იანვრის N1021 ბრძანებით შპს „ნიუ ჯეო როუდზე“ 10 წლის ვადით გაცემულია სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) მოპოვების ლიცენზია . ლიცენზია მოიცავს ორ უბანს (I უბანი - 362 740 მ²; II უბანი - 142 665 მ²), ხოლო მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობაა (ორივე უბანზე ერთად) - 1 010 810 მ³. სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 12 მარტის N1081 ბრძანებით ლიცენზია გადაეცა შპს „ნიუ ჯეომატერიალს“. 2024 წლის 10 ივნისს, სააგენტოს N1261 ბრძანებით შპს „ნიუ ჯეომატერიალსზე“ გაცემული N1081 ლიცენზია-ბრძანების ნაწილი (184 940 მ³ ქვიშა-ხრეშის ჯამური მოპოვება, მიწისა და სამთო მინაკუთვნის ფართობით 92 470 მ²) გადაეცა შპს „New Road“-ს. შესაბამისად, სააგენტოს 2024 წლის 10 ივნისის N1262 ბრძანებით შეიცვალა შპს „ნიუ ჯეომატერიალსისთვის“ განსაზღვრული მოპოვების ჯამური მოცულობა (825 870 მ³) და ფართობი (412 935 მ²).

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შპს „ნიუ ჯეომატერიალსის“ მიერ, მარნეულის მუნიციპალიტეტში 412 935 მ² ფართობზე დაგეგმილია 825 870 მ³ ქვიშა-ხრეშის ღია კარიერული წესით მოპოვება. სალიცენზიო ფართობი მოიცავს ორ უბანს (I უბანი - 270 270 მ²; II უბანი - 142 665 მ²). სასარგებლო წიაღისეულის საშუალო სიმძლავრე ორივე უბნისთვის შეადგენს 2 მეტრს. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გამოყოფილი სამთო მინაკუთვნი მდებარეობს მდ. დებედას ფართოდ გაშლილ ჭალა კალაპოტში. სალიცენზიო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: **I უბანი:** X-486711 Y-4575710; X-486653 Y-4575671; X-486583 Y-4575588; X-486515 Y-4575534; X-486423 Y-4575494; X-486361 Y-4575386; X-486216 Y-

4575015; X-485970 Y-4575080; X-486016 Y-4575393; X-486241 Y-4575617; X-486314 Y-4575756; X-486409 Y-4575821; X-486552 Y-4575949; X-486579 Y-4575909; II უბანი: X-485523 Y-4574164; X-485625 Y-4574256; X-485730 Y-4574406; X-485882 Y-4574378; X-485791 Y-4574220; X-485693 Y-4574161; X-485660 Y-4574119; X-485634 Y-4573964; X-485567 Y-4573916; X-485463 Y-4573773; X-485336 Y-4573699; X-485305 Y-4573660; X-485252 Y-4573764; X-485205 Y-4573829; X-485306 Y-4573910; X-485467 Y-4574054; სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პირველი უბნიდან სოფ. ბაითალოში მდებარე უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ს/კ 83.12.11.611) მდებარეობს 270 მეტრში, ხოლო მეორე უბნიდან - დაახლოებით 685 მეტრში. ლიცენზირებულ ობიექტებს შორის მანძილი შეადგენს 711 მ-ს.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) და წიაღისეულის მოპოვების ტექნოლოგიური ალტერნატივები. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის ადგილმდებარეობის შერჩევა მოხდა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოდან მოპოვებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გათვალისწინებით. შესაბამისად, აღარ მოხდა საქმიანობის განხორციელების სხვა ტერიტორიების ალტერნატიული ვარიანტების განხილვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) მოპოვება განხორციელდება ღია კარიერული წესით, 8-10 მეტრიანი სპირაჯოების მიხედვით, მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. საბადოს გახსნა განხორციელდება ტრანშეით, რომელიც ასევე ასრულებს გამკვეთის როლს. ქვიშა-ხრეშის მოპოვება და სატვირთო მანქანებში ჩატვირთვა მოხდება ექსკავატორის გამოყენებით. მოპოვებული წიაღისეულის ნაწილი გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოების მომარაგებისთვის, ხოლო ნედლეულის ნაწილი გამოყენებული იქნება ბალასტის სახით სხვადასხვა კომერციული მიზნებისთვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ორივე უბანზე მისასვლელად გამოყენებული იქნება არსებული საავტომობილო და შიდა გზები. ნედლეულის ტრანსპორტირებისას, ამტვერების თავიდან აცილების მიზნით, ავტომანქანის ძარა იქნება გადახურულ მდგომარეობაში. ნედლეულით დატვირთული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება დასახლებული პუნქტის სიახლოვეს არ არის გათვალისწინებული.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია გაცემულია 10 წლის ვადით, 2024 წლის 30 იანვრიდან 2034 წლის 31 იანვრამდე. საბადოს დამუშავების სამუშაოების განხორციელება წელიწადში 260 დღე, 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში რაიმე ინფრასტრუქტურული ობიექტის, მათ შორის დროებითი სათავსოს ან/და მსუბუქი კონსტრუქციის მქონე საოფისე შენობის, ასევე, სველი წერტილის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. კარიერის ტერიტორიაზე სასმელი წყლის შემოტანა მოხდება ბუტილირებული სახით. კარიერის ტერიტორიაზე დაგეგმილია მხოლოდ ბიოტუალეტის განთავსება, რომელსაც მომსახურებას გაუწევს შესაბამისი კომპანია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საბადოს დამუშავების პროცესში გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებასთან, ასევე ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევასთან. ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების, ასევე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროებია სატრანსპორტო საშუალებები, რომლითაც მოხდება უშუალოდ კარიერის დამუშავება და მოპოვებული მასალის ტრანსპორტირება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ლიცენზირებული ობიექტის ორივე უბნის დიდი ნაწილი ხვდება მდინარის კალაპოტში, რომელიც წარმოდგენილია ქვიშა-ხრეშოვანი მასალით. ამასთან ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელიც არ ხვდება მდინარის კალაპოტში, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, კარიერის დამუშავების დაწყებამდე ნიადაგის ნაყოფიერი ფენისა და გრუნტის მოხსნა არ არის გათვალისწინებული, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ობიექტის დამუშავების დროს წარმოიქმნება ნიადაგის ფენისა და ფუჭი ქანების მოხსნის აუცილებლობა, მათი დასაწყობება მოხდება ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ორივე უბანი და მისი მიმდებარე ტერიტორია გეოლოგიურად სტაბილურია და საშიში გეოდინამიკური პროცესები არ აღინიშნება. ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. მიუხედავად ამისა, საპროექტო ტერიტორიაზე მეწყრული პროცესების წარმოქმნის შემთხვევაში შეჩერდება სამუშაოები და გაგრძელდება მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მითითებების მიხედვით.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია, სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ხე-მცენარეები წარმოდგენილი არაა, რადგან კარიერების უმეტესი ნაწილი მოიცავს მდინარის მუშა კალაპოტს. მდინარის მიმდებარედ ვხვდებით სარეველა ბალახოვან და ეკალ-ბუჩქოვან მცენარეებს, როგორებიცაა მაყვლის გაუვალი რაყები, იაღლუნი და ეკალლიჭვი. პროექტის განხორციელების ეტაპზე ხე-მცენარეულ საფარზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გავრცელებული იყოს რეგიონისთვის დამახასიათებელი ფაუნის წარმომადგენლები, თუმცა განხორციელებული კვლევისას ცხოველთა სახეობების ბინადრობის ადგილები არ აღმოჩენილა. ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ შესაძლებელია ადგილობრივი და გამოზამთრების მიზნით შემოსული ფრინველთა სახეობების არსებობა, მათ შორის საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობები: წითელი იხვი (*Tadorna ferruginea*), ველის კაკაჩა (*Buteo rufinus*) და სხვა. ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების დეტალური კვლევა წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ეტაპზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პერიოდში, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით მოსალოდნელია ზემოქმედება მდინარეში არსებულ იქითოფაუნაზე. წყლისა, წყალზე დამოკიდებული და მდინარესთან ახლოს მობინადრე სახეობებზე ზემოქმედების რისკების დეტალური კვლევა წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ეტაპზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ლიცენზირებულ უბნებზე რომელიმე კულტურული ან/და არქეოლოგიური მემკვიდრეობის ძეგლი/ობიექტი არ მდებარეობს. საპროექტო ტერიტორიასთან ახლოს მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი სარალის სასაფლაოს მავზოლეუმი დაშორებულია 2.5 კმ-ით. ხოლო, 3.5 კილომეტრში მდებარეობს გაგის (აღჯაყალა) ციხე. პროექტის განხორციელებით მათზე რაიმე სახის ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქის გვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში და განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. საჯარო განხილვების ჩატარების შესახებ ინფორმაცია, ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. საჯარო განხილვები გაიმართა 2024 წლის 6 დეკემბერს, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო სარალის და სოფ. ბაითალოს საჯარო სკოლის შენობებში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „ნიუ ჯეომატერიალსის“, შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრის - ეკომეტრის“, მარნეულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვებზე ყურადღება გამახვილდა პროექტის განხორციელებით გამოწვეულ ზემოქმედების რისკებზე, როგორც არის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუარესება, მდინარის წყლის დონის ცვლილება, მოსახლეობაზე ხმაურით, ვიბრაციით და სატრანსპორტო

ნაკადებით გამოწვეული ზემოქმედება. ადგილობრივი მოსახლეობა ასევე დაინტერესდა მდინარესთან ახლოს მდებარე საძოვრების საკითხით. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი განმარტებები გააკეთეს შპს „ნიუ ჯეომატერიალის“ და შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრის - ეკომეტრის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).
5. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
 - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ადგილების აღწერა-დახასიათება (საკადასტრო კოდები, ფართობები, Shp ფაილები, GPS კოორდინატები, გარემო-პირობები);

- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნიკური პარამეტრების ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
- წიაღისეულის მოპოვების უზნებიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე მანძილის შესახებ ინფორმაცია, რუკაზე მითითებით;
- ინფორმაცია წიაღისეულის მოპოვების/საბადოს დამუშავების შერჩეული მეთოდის/ტექნოლოგიის შესახებ. მათ შორის, წარმოდგენილი უნდა იქნეს შერჩეული მეთოდის გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობების დასაბუთება;
- ინფორმაცია საბადოზე არსებული მარაგების შესახებ, წიაღისეულის მოპოვების ხანგრძლივობისა და გეგმა-გრაფიკის მითითებით;
- ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკა-დანადგარების და მათი განთავსების ადგილის შესახებ;
- სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირების შესახებ დეტალური ინფორმაცია. მათ შორის:
 - ტრანსპორტირების სქემის, სამომხრარო მარშრუტების (რუკაზე ჩვენებით), ტრანსპორტირების პირობების (მაგ: დაბალი სიჩქარე, სამომხრარო გზის მორწყვა, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა), სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკის მითითებით;
 - ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი/წიაღისეულის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული გზების შესახებ;
 - ტრანსპორტირების სქემის და გეგმა-გრაფიკის შესახებ მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის ან/და შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
 - ინფორმაცია მისასვლელი გზების მორწყვის საჭიროებისა და მორწყვის პერიოდულობის (საჭიროების შემთხვევაში) შესახებ;
- ინფორმაცია ნარჩენებისა და მათი მართვის საკითხების შესახებ, ნარჩენების მართვის კოდექსის და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;
- ინფორმაცია წიაღის მოპოვების პროცესში, ობიექტის სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყალმომარაგების (საჭიროების არსებობის შემთხვევაში) შესახებ. მათ შორის, ინფორმაცია ჩამდინარე წყლების მართვის საკითხის შესახებ;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სამიეზო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;

- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებების შესახებ.

6. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, მათ შორის: მოსალოდნელი ემისიები, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში. ამასთან, მოცემული უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა;
- გარემოს სხვადასხვა კომპონენტზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და ტრანსპორტირების ეტაპზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე, გრუნტის ხარისხზე და ბუნებრივ ლანდშაფტზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებების მითითებით. მათ შორის, წარმოდგენილი იქნეს მიწისქვეშა/გრუნტის წყლების შესაძლო დაბინძურების ადგილებისა და დაბინძურების კონტროლის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ეტაპზე გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წიაღის მოპოვების უბნების სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსში) არსებული ან/და საპროექტო საქმიანობების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის (განსაკუთრებით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების, სატრანსპორტო ოპერაციებით გამოწვეული ზემოქმედებისა და ხმაურის გავრცელების კუთხით), ასევე კუმულაციურ ზემოქმედების შემცირებისთვის უნდა განისაზღვროს ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები;
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთმეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- ინფორმაცია ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე სარეკულტივაციო სამუშაოების განხორციელების შესახებ;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების სამოქმედო გეგმა;
- პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის მეთოდის, მონიტორინგის სიხშირისა და სხვ. მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

7. შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს მდ. დებედას ჭალა-კალაპოტს გზშ-ის ანგარიშში მყარი ნატანი წარმოდგენილი უნდა იყოს ცალკე პუნქტად, სადაც განხილული იქნება, დაგეგმილი საქმიანობით გამოწვეული გეოდინამიკური გართულებების რისკები;
- ვინაიდან, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება გათვალისწინებულია მდ. დებედას ჭალა კალაპოტში, ასევე დაგეგმილია მდინარის გასწორხაზოვნება, შესაბამისად, წყლის ბიომრავალფეროვნებაზე, უშუალოდ იქთიოფაუნაზე, მოსალოდნელია ზემოქმედება (მაგალითად გაუმართავი ტექნიკიდან ნავთობპროდუქტების ჟონვა და კარიერის არასწორ დამუშავება). არასწორი დამუშავების შედეგად მოსალოდნელია მდინარის წყლის სიმღვრივის მომატება და ხარისხის გაუარესება. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია მდ. დებედაში გავრცელებული იქთიოფაუნის და სხვა ორგანიზმების შესახებ, ასევე არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობით მათზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნას განხილული საპროექტო არეალში გავრცელებული წყლისა და წყალზე დამოკიდებულ სახეობების შესახებ ინფორმაცია (იქთიოლოგიური კვლევა) და შეფასებულ იქნას მათზე მოსალოდნელი ზემოქმედება, შესაბამისი შემარბილებელი/პრევენციული

ღონისძიებების გათვალისწინებით. ასევე, გზმ-ის ანგარიშში ასახული უნდა იყოს ინფორმაცია ექსპლუატაციის ეტაპზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის/საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე;

- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია მოპოვებული წიაღისეულის დროებითი და საბოლოო დასაწყობების ადგილების (სქემატურ ნახაზზე და shp ფაილებზე ასახვით) შესახებ, დასაწყობების პირობების მითითებით;
- გზმ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი წიაღისეულის ფართობები და მოცულობები თითოეული უბნისთვის;
- გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია განახლებული გეოსაინფორმაციო პაკეტის შესახებ;
- წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, „წიაღის ამოღება მოხდება ერთი მთლიანი საფეხურით, 8-10 მეტრი სიფართის სპირაჯოებით წინ წაწევით“, ასევე დოკუმენტში მითითებულია, რომ „წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების მეთოდად განსაზღვრულია ღია კარიერული წესი, საფეხურებრივად“. გზმ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს წიაღისეულის მოპოვება საფეხურებრივად წარიმართება თუ ერთი მთლიანი საფეხურით;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მდ. დებედა გაზაფხულობით ხასიათდება წყალდიდობით. გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია გაზაფხულის პერიოდში სამუშაოების წარმოების შესახებ;
- გამომდინარე იქიდან, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება დაგეგმილია მდ. დებედას მუშა კალაპოტში, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს გასწორხაზოვნებული კალაპოტის უბნისა და მისი ქვედა ბიეფის დატბორვის არელების და შესაბამისი ჰიდრაულიკური გაანგარიშებები;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემი) ნაწილი გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, კომპანიის კუთვნილი სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოების მომარაგებისთვის.“ დაზუსტებას საჭიროებს მოპოვებული წიაღისეულის გატანა მოხდება მხოლოდ შპს „ნიუ ჯეომატერიალსის“ საკუთრებაში არსებულ საწარმოში თუ სხვა ობიექტებშიც (მითითებული უნდა იყოს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოების შესახებ ინფორმაცია, ადგილმდებარეობების მითითებით);
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, 2024 წლის 10 ივნისს, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს N1261 ბრძანებით შპს „ნიუ ჯეომატერიალსზე“ გაცემული N1081 ლიცენზია-ბრძანების ნაწილი (184 940 მ³ ქვიშა-ხრემის ჯამური მოპოვება, მიწისა და სამთო მინაკუთვნი ფართობით 92 470 მ²) გადაეცა შპს „New Road“-ს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია შპს „New Road“-ის მიერ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებით (საქმიანობის არეალი (რუკაზე ჩვენებით), მოპოვების პერიოდულობა, მათ შორის

დაწყებულია თუ არა მოპოვებითი სამუშაოები და სხვ.). ამასთან, შპს „New Road“-ის საქმიანობა გათვალისწინებული უნდა იყოს კუმულაციური ზემოქმედების ნაწილში;

- გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტს, მათ შორის, რეკულტივაციის პროექტს (საჭიროების შემთხვევაში);
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ნიუ ჯეომატერიალსის“ მიერ, წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის (825 870 მ³ ქვიშა-ხრეშის) ღია კარიერული წესით მოპოვებას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.